

შევიდეს ცვლილება საბანკო მომსახურების საერთო პირობების N13 დანართში -კრედიტი:

შეიცვალოს დანართის მე-9 და მე-10 პუნქტები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

9. **საკრედიტო შენატანის დაზღვევა** (შემდგომში - **დაზღვევა**) ხორციელდება წინამდებარე **ხელშეკრულების** საფუძველზე, თუ **მხარეები** შეთანხმდებიან **საკრედიტო შენატანის დაზღვევის** მართვის საკომისიოს ოდენობაზე ან შემდგომში, **კლიენტის** მიერ **ბანკისათვის** წარდგენილი განაცხადის საფუძველზე. თუ **მხარეები** წერილობით სხვა რამეზე არ შეთანხმდებიან (მათ შორის არ შეთანხმდებიან სხვა სადაზღვევო კომპანიაზე), **კლიენტი** უფლებამოსილია ზეპირად ან წერილობით აირჩიოს და **ბანკი** უფლებამოსილია, **კლიენტის** არჩევნის და **ხელშეკრულების** პირობების შესაბამისად, **დაზღვევა** განახორციელოს შემდეგ სადაზღვევო კომპანიაში: 1. სს სადაზღვევო კომპანია იმედი ელ (ს/ნ 204919008), 2. სს სადაზღვევო კომპანია ალდაგი (ს/ნ 404476189); 3. სს სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგი (ს/ნ 204426674) ან 4. სს დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაო (ს/ნ 205023856) (შემდგომში - **ასარჩევი სადაზღვევო კომპანია**). **კლიენტის** არჩევანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სადაზღვევო კომპანიასთან დაკავშირებით შესაძლოა დადასტურდეს **ბანკის** მიერ **კლიენტისთვის** გაგზავნილ ელექტრონული ფოსტის ან სხვა ელექტრონული საშუალებით გაგზავნილ შეტყობინებაში. იმ შემთხვევაში თუ ელექტრონული ფოსტის ან სხვა ელექტრონული საშუალებით გაგზავნილ შეტყობინებაში მითითებული სადაზღვევო კომპანია არ შეესაბამება **კლიენტის** არჩევანს, **კლიენტი** ვალდებულია **ბანკის** მიერ ელექტრონული ფოსტის ან სხვა ელექტრონული საშუალებით შეტყობინების გაგზავნიდან 5 (ხუთი) **საბანკო დღის** ვადაში მიმართოს **ბანკს** და მოითხოვოს მისი არჩევანის შესაბამისად ახალი ელექტრონული ფოსტის ან სხვა ელექტრონული საშუალებით შეტყობინების გაგზავნა და სწორი სადაზღვევო კომპანიის მითითება. იმ შემთხვევაში თუ **კლიენტი** არ აირჩევს სადაზღვევო კომპანიას, **ბანკი** უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ განსაზღვროს სადაზღვევო კომპანია. თუ **ბანკის** მიერ სხვა გადაწყვეტილება არ იქნება მიღებული **დაზღვევა** ხორციელდება არაუადრეს **კლიენტის** მიერ **საკრედიტო შენატანის დაზღვევის მართვის საკომისიოს** პირველი გადახდისა. ამასთან: ა) დაზღვევის პირობები - „მსესხებლის საკრედიტო შენატანის დაზღვევის პირობები“ - მოცემულია **ბანკის** ვებ-მისამართზე <https://conditions.bog.ge/ge/366> ბ) დაზღვევის მოსარგებლეს (ბენეფიციარს) წარმოადგენს **ბანკი**; გ) **ბანკი** უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ, ნებისმიერ მომენტში შეწყვიტოს **დაზღვევა**. **მხარეები** თანხმდებიან, რომ: ა) **საკრედიტო შენატანის დაზღვევის მართვის საკომისიო** გადაიხდება **გრაფიკის** შესაბამისად; ბ) **კლიენტი** უფლებამოსილია იმ პერიოდზე, რომელ პერიოდშიც **საკრედიტო შენატანი** არ იყო **დაზღვეული**: ბ.ა.) მოსთხოვოს **ბანკს** მის მიერ ზედმეტად დარიცხულ **საკრედიტო შენატანის დაზღვევის მართვის საკომისიოზე** უარის თქმა; ბ.ბ.) **კლიენტის** მიერ ზედმეტად გადახდილი **საკრედიტო შენატანის დაზღვევის მართვის საკომისიოს** დაბრუნება; გ) **კლიენტი** უფლებამოსილია მოითხოვოს ინფორმაცია იმის თაობაზე **დაზღვეულია** თუ არა **საკრედიტო შენატანი ხელშეკრულების** მოქმედების შესაბამის პერიოდზე; დ) **დაზღვევის** არ არსებობა არ ათავისუფლებს **კლიენტს ხელშეკრულებიდან** გამომდინარე ვალდებულებების **ბანკის** წინაშე შესრულებისგან; ე) იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტი** რამდენიმე პირია, ნებისმიერი მათგანი უფლებამოსილია მიმართოს **ბანკს** განაცხადით **დაზღვევის** ან **დაზღვევის** შეწყვეტის თაობაზე, აღნიშნულ შემთხვევაში **დაზღვევა** ან **დაზღვევის** შეწყვეტა გავრცელდება ყველა **კლიენტზე**; ვ) **საკრედიტო შენატანის დაზღვევის მართვის საკომისიო** დაერციხება **კლიენტის** მიერ **ხელშეკრულებით** განსაზღვრულ პერიოდზე გადასახდელი **კრედიტის თანხის, საპროცენტო სარგებლისა და სიცოცხლის დაზღვევის საკომისიოს** ოდენობას; ზ) **დაზღვევის** და მისგან გამომდინარე უფლებების განხორციელების მიზნით, **ბანკი** უფლებამოსილია, **კლიენტის** დამატებითი თანხმობისა და აქცეპტის გარეშე, დაამუშაოს **კლიენტის** პერსონალური მონაცემები (განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემის ჩათვლით), რაც შეუზღუდავად მოიცავს **ბანკის** უფლებას მიიღოს, გამოითხოვოს, შეაგროვოს, შეინახოს, გამოიყენოს, გადასცეს (მათ შორის **ასარჩევი სადაზღვევო კომპანიებიდან კლიენტის** არჩევანის შესაბამისად განსაზღვრულ სადაზღვევო კომპანიას, მის უფლებამონაცვლეს ან/და სხვა მსგავსი ფუნქციის მქონე პირს), დაბლოკოს, წაშალოს ან/და განახორციელოს სხვა **კანონმდებლობით** აუკრძალავი მოქმედებები **კლიენტის** პერსონალურ მონაცემებზე.
10. **სიცოცხლის დაზღვევის საკომისიოს არსებობის შემთხვევაში:**  
**კლიენტის** მიერ **სიცოცხლის დაზღვევის საკომისიო** გადაიხდება, **ბანკის** მიერ **კლიენტის** გარდაცვალების რისკზე **კრედიტის** გადაუხდელი ვადამოსული/ვადამოსუსვლელი ძირითადი თანხის (შემდგომში - **დავალიანება**) დაზღვევის უზრუნველსაყოფად (შემდგომში - **დაზღვევა**). თუ **მხარეები** წერილობით სხვა რამეზე არ შეთანხმდებიან (მათ შორის არ შეთანხმდებიან სხვა სადაზღვევო კომპანიაზე), **კლიენტი** უფლებამოსილია ზეპირად ან წერილობით აირჩიოს და **ბანკი** უფლებამოსილია, **კლიენტის** არჩევნის და **ხელშეკრულების** პირობების შესაბამისად, **დაზღვევა** განახორციელოს შემდეგ სადაზღვევო კომპანიაში: 1. სს სადაზღვევო კომპანია იმედი ელ (ს/ნ 204919008), 2. სს სადაზღვევო კომპანია ალდაგი (ს/ნ 404476189), 3. სს სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგი (ს/ნ 204426674) ან 4. სს დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაო (ს/ნ 205023856) (შემდგომში - **ასარჩევი სადაზღვევო კომპანია**). **კლიენტის** არჩევანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სადაზღვევო კომპანიასთან დაკავშირებით შესაძლოა დადასტურდეს **ბანკის** მიერ **კლიენტისთვის** გაგზავნილ ელექტრონული ფოსტის ან სხვა ელექტრონული საშუალებით გაგზავნილ შეტყობინებაში. იმ შემთხვევაში თუ

ელექტრონული ფოსტის ან სხვა ელექტრონული საშუალებით გაგზავნილ შეტყობინებაში მითითებული სადაზღვევო კომპანია არ შეესაბამება **კლიენტის** არჩევანს, **კლიენტი** ვალდებულია **ბანკის** მიერ ელექტრონული ფოსტის ან სხვა ელექტრონული საშუალებით შეტყობინების გაგზავნიდან 5 (ხუთი) **საბანკო დღის** ვადაში მიმართოს **ბანკს** და მოითხოვოს მისი არჩევანის შესაბამისად ახალი ელექტრონული ფოსტის ან სხვა ელექტრონული საშუალებით შეტყობინების გაგზავნა და სწორი სადაზღვევო კომპანიის მითითება. იმ შემთხვევაში თუ **კლიენტი** არ აირჩევს სადაზღვევო კომპანიას, **ბანკი** უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ განსაზღვროს სადაზღვევო კომპანია. ამასთან: ა) **დაზღვევის პირობები** - „**ბანკის საკრედიტო პორტფელის დაზღვევის პირობები**“ განთავსებულია **ბანკის** ვებ-მისამართზე <https://conditions.bog.ge/ge/366>; ბ) **დაზღვევის** მოსარგებლეს (ბენეფიციარს) წარმოადგენს **ბანკი**; გ) **ბანკი** უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ, ნებისმიერ მომენტში, **კლიენტისათვის** 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე, შეწყვიტოს **დაზღვევა**. აღნიშნულ შემთხვევაში, **სიცოცხლის დაზღვევის საკომისიოს** გადახდის ვალდებულება უქმდება. **მხარეები** თანხმდებიან, რომ: ა) **სიცოცხლის დაზღვევის საკომისიო** გადაიხდება **გრაფიკის** შესაბამისად; ბ) **დავალიანება დაზღვეულია** იმ ვადის განმავლობაში, რა ვადაშიც **კლიენტი** ვალდებულია გადაიხადოს **სიცოცხლის დაზღვევის საკომისიო**, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც „**ბანკის საკრედიტო პორტფელის დაზღვევის პირობებით**“ გათვალისწინებული გარემოებების ან **ბანკის** მიერ **დაზღვევის** შეწყვეტის გამო, **დავალიანება** აღარ ექვემდებარება **დაზღვევას**; გ) **ბანკის** მიერ **დავალიანების დაზღვევის** შეწყვეტის შემთხვევაში, **კლიენტი**, მისი მემკვიდრე ან შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირი უფლებამოსილია, იმ პერიოდზე, რომელ პერიოდშიც **დავალიანება** არ იყო **დაზღვეული**: გ.ა) მოსთხოვოს **ბანკს** მის მიერ ზედმეტად დარიცხულ **სიცოცხლის დაზღვევის საკომისიოზე** უარის თქმა; გ.ბ) **კლიენტის** მიერ ზედმეტად გადახდილი **სიცოცხლის დაზღვევის საკომისიოს** დაბრუნება; დ) **კლიენტი**, მისი მემკვიდრე ან შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირი უფლებამოსილია, მოითხოვოს ინფორმაცია იმის თაობაზე, **დაზღვეულია** თუ არა მისი **დავალიანება ხელშეკრულების** მოქმედების შესაბამის პერიოდზე; ე) **დაზღვევის** არ არსებობა არ ათავისუფლებს **კლიენტს ხელშეკრულებიდან** გამომდინარე ვალდებულებების **ბანკის** წინაშე შესრულებისგან; ვ) **დაზღვევის** და მისგან გამომდინარე უფლებების განხორციელების მიზნით, **ბანკი** უფლებამოსილია, **კლიენტის** დამატებითი თანხმობისა და აქცეპტის გარეშე, დაამუშაოს **კლიენტის** პერსონალური მონაცემები (განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემის ჩათვლით), რაც შეუზღუდავად მოიცავს **ბანკის** უფლებას მიიღოს, გამოითხოვოს, შეაგროვოს, შეინახოს, გამოიყენოს, გადასცეს (მათ შორის **ასარჩევი სადაზღვევო კომპანიებიდან კლიენტის** არჩევანის შესაბამისად განსაზღვრულ სადაზღვევო კომპანიას, მის უფლებამონაცვლეს ან/და სხვა მსგავსი ფუნქციის მქონე პირს), დაბლოკოს, წაშალოს ან/და განახორციელოს **კანონმდებლობით** აუკრძალავი სხვა მოქმედებები **კლიენტის** პერსონალურ მონაცემებზე.